ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

ГАЗЕТА ИЗДАЕТСЯ С 1920 ГОДА

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 237 (19678) სამშაბათი, 14 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მომარ-ინტერ-ნაციონალისტებს, რომლებიც ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკიდან გრუნდგზიან

ძვირფასო ამხანაგებო!

მხურვალედ, მოგესალმებით თქვენ, სამშობლოს სახელოვან შვილებს. თქვენ ბრუნდებით შინ მეგობარი ავღანეთის მიწა-წყალზე ინტერნაციონალური ვალის პატიოსნად მოხდის შემდეგ.

მისი კანონიერი მთავრობის თხოვნით, თქვენ, მშვიდობის ჯარისკაცები, ისევე როგორც თქვენი მებრძოლი მეგობრები, რომლებმაც სამხედრო სამსახური დაამთავრეს წინათ ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ავღანელ ხალხს ეხმარებოდით დამოუკიდებლობისა და თავისუფლების, აპრილის ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვრების დაცვაში, ჩვენი სამშობლოს სამხრეთის სახღვრების მტკიცე უშიშროების უზრუნველყოფაში.

საბჭოთა მეომრები ავღანეთის ჯარისკაცებთან, ქვეყნის ყველა პატრიოტთან ერთად ვაქცაცურად უპირისპირდებოდნენ და უპირისპირდებიან მტრული ძალების შეიარაღებულ აგრესიას, რომლებმაც ხელყვეს ავღანეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტი. ყოველდღე სწვდით რა სიცოცხლის რისკს, თქვენ, ინტერნაციონალისტმა მებრძოლებმა, იხსენით ათასობით ავღანელი ბავშვი, მოხუცი და ქალი დაჭრილებულ მკვლელთა და ტერორისტთა სისხლიანი ანგარიშსწორებისაგან, ბავშვებს მიეცით შესაძლებლობა ეარათ სკოლაში, გლეხებს — აეღოთ მოსავალი, მუშებს — ეშრომათ ჩარხებთან. ეს გმირობა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობის სიმბოლოდ. თავდადებით ასრულებდნენ და კვლავაც ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ჯარისკაცები და ოფიცრები, ექიმები და მედიცინის დები.

გავა წლები, მაგრამ ისინი ვერ წაშლიან მეხსიერებიდან ნაკოლოზ ჩეპიკის, ალექსანდრე მირონენკოს, ნიკოლოზ ანფინოგენოვის, გაფირ ნამაზოვის, ალექსანდრე სტოუბას, ვიაჩესლავ გაინუტდინოვის, ალექსანდრე ოპარინის, ზურაბ ჩლაიძის, ალექსანდრე დემაკოვის, ედმუნტას შაკინსის, გიორგი დემჩენკოს, ყველა იმათ სახელებს, ვინც მოლა ატარა საბჭოთა მეომრის პატიოსნება და ღირსება.

საბჭოთა ადამიანები თავს ხრიან ბრძოლებში დაღუპულ ჩვენი სამშობლოს ვაჟკაც შვილთა ხსოვნის წინაშე. მათ ახლობლებთან, ნათესავებთან, მეგობრებთან ერთად გლოვობენ. თითოეული პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მოვალეობაა არ მოაკლონ მათს ოჯახებს ყურადღება და ზრუნვა, შეუმსუბუქონ ტკივილი და მწუხარება დანაკლისის გამო.

საბრძოლო გამოცდების მკაცრ დღეებში თქვენ ისწავლეთ მხედრული ძმობის უფრო მტკიცედ დაფასება, მშობლიური სახლის, საყვარელი ადამიანების ერთგულების გაფრთხილება. თქვენ კიდევ უფრო ღრმად შეიგრძენეთ, თუ რა მშვენიერია ჩვენი სამშობლო, როგორ უსაზღვროდ ძვირფასია გიყვარდეს იგი და ანდერძად იცავდე მას.

ავღანეთში ყოფნისას დარწმუნდით რომ ალსაბრალია მტერს [illegible] ჩვენ ვამაყობთ: თავისუფლებდ [illegible] მშრომელი ადამიანის ბედნიერება, ხალხთა ინტერნაციონალური ძმობა. მისი ნება რომ იყოს, ჩვენს მიწაზეც დათესავდა იგივე სიძულვილსა და ღვარძლს, იგივე ტანჯვა-ვაებას, რაც ჩვენს სამხრეთელ მეზობელს მოუტანეს. საბჭოთა ადამიანებმა ეს საკუთარ თავზე გამოსცადეს დიდი სამამულო ომის წლებში.

თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენმა რევოლუციამ, პარტიამ, კომკავშირმა აღგზარდეს. პატრიოტიზმი და ვაჟკაცობა, გმირობა და მხედრული ღირსება მემკვიდრეობით მიიღეთ მამა-პაპებისაგან, უფროსი რევოლუციური თაობებისაგან. მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის პირველი დღეებიდანვე იგი ინტერნაციონალისტთა არმია იყო. ეს ტრადიციები გამოატარა მან უძნელესი განსაცდელის ბრძოლაში. საბჭოთა მეომრები მუდამ იქნებიან ამ ტრადიციების ერთგული.

დედასამშობლო გულთბილად და გულითადად შეგებგებათ თქვენ, თავის ძვირფას შვილებს. ჩვენი ქვეყანა ახლა საინტერესო და მკაცრ დროში ცხოვრობს. ყველა სფეროში მიმდინარეობს ღრმა განახლების რევოლუციური პროცესი. თქვენ მიერ შეძენილი პოლიტიკური და საბრძოლო წრთობა დაგეხმარებათ ღირსეულად შეასრულოთ მხედრული და მოქალაქეობრივი მოვალეობა — შეიტანოთ წვლილი ქვეყნის წინაშე დასახული დიდი ამოცანების განხორციელებაში.

ჩვენი იდეალია მტკიცე მშვიდობა, საიმედო უშიშროება ყველა ხალხისათვის. მაგრამ იმ პირობებში, როცა იმპერიალიზმი კვლავ ემუქრება სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების უშიშროებას, უბოდიშოდ ერევა სხვის საქმეებში, ჩვენ მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ. და, რა თქმა უნდა, სანამ არ შეწყდება შეიარაღებული ჩარევა გარედან დემოკრატიული ავღანეთის საქმეებში, საბჭოთა კავშირი უბედურებაში არ მიატოვებს მეზობელს. სამსახურს რომ განაგრძობთ, მუდამ გახსოვდეთ: თქვენ სამშობლოს ჯარისკაცები ხართ და მზად უნდა იყოთ მხედრული და შრომითი გმირობისათვის.

გისურვებთ თქვენ, ყველას, ვინც ღირსეულად შეასრულა და ასრულებს ინტერნაციონალურ მოვალეობას, ბედნიერებას, ახალ წარმატებებს, სახელოვან მიღწევებს. სამშობლო თქვენთან ამაყობს! სამშობლო მადლობას გიძღვნით! სამშობლოს თქვენი იმედი აქვს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია

12 ოქტომბერს რეიკიავიკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა გამართა პრესკონფერენცია ჟურნალისტებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრას აშუქებენ.

მომართა რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს, მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა:

საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო და ბატონებო, ამხანაგებო! მოგესალმებით ყველას.

დაახლოებით ერთი საათი გავიდა, რაც დამთავრდა ჩემი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბატონი რეიგანის შეხვედრა. მან ცოტა მეტხანს გაასტანა, ვიდრე ვაპირებდით. საქმემ მოითხოვა ეს. და, მინდა ბოდიში მოგიხადოთ, რომ პრესკონფერენციაზე დანიშნულ დროს ვერ მოვედი.



სურათზე: მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა.

საკდეს-საქინფორმის ფოტოქრონიკა.

უკვე იცით, რომ შეხვედრა გაიმართა საბჭოთა ხელმძღვანელობის ინიციატივით. მაგრამ, ბუნებრივია, შეხვედრა არ მოხდებოდა, ბატონი რეიგანის თანხმობა რომ არ ყოფილიყო. ამტომ, მე ვიტყოდი, ეს იყო ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილება, მოგვეწყო ეს შეხვედრა.

ახლა იგი დამთავრდა. ზოგჯერ ამბობენ ხოლმე, პირისპირ კი ხვდები კაცს, მაგრამ მის სახეს ვერ ხედავო. მე ეს-ეს არის მოვედი შეხვედრიდან, რომელიც განსაკუთრებით მის ბოლო ეტაპზე ცხარე დისკუსიების პირობებში მიმდინარეობდა. და ჯერ კიდევ ამ დისკუსიათა შთაბეჭდილებების ტყვეობაში ვარ. მიუხედავად ამისა, შევეცდები უკვე ახლა არა მარტო გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებანი, არამედ გავიარკვე კიდეც, თუ რა მოხდა. და მაინც, ეს იქნება პირველი შთაბეჭდილებანი, პირველი შეფასებანი, პირველი ანალიზი. ჯერ კიდევ მოგვიწევს უფრო საფუძვლიანად შევაფასოთ მთელი შეხვედრა.

ეს იყო დიდი შეხვედრა, და თქვენ ამას იგრძნობთ, როცა გიამბობთ მისი შინაარსის, იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც შეხვედრაზე იყო ძალზე ფართო, ფრიად ინტენსიური, ფრიად დაინტერესებული განხილვის საგანი.

ატმოსფერო შეხვედრაზე მეგობრული იყო. შესაძლებლობა გვქონდა თავისუფლად და შეუზღუდავად ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი შეხედულებანი. ამან შესაძლებლობა მოგვცა გაგვეღრმავებინა გაგება მსოფლიო პოლიტიკის, ორმხრივი ურთიერთობის მრავალი დიდი პრობლემისა და უწინარეს ყოვლისა იმ საკითხების გამო, რომლებიც მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დგას — ომისა და მშვიდობის, გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის საკითხებზე, ერთი სიტყვით, საკითხთა მთელ კომპლექსზე, რომლებსაც ეს თემა მოიცავს.

სანამ უშუალოდ შევუდგებოდე თვით შეხვედრის, დისკუსიათა შინაარსის, მხარეთა წინადადებებისა და მისი შედეგების დახასიათებას, მინდა აგიხსნათ, თუ რატომ გამოვიჩინეთ ინიციატივა მოგვეწყო შეხვედრა რეიკიავიკში.

მე რეგულარულად კითხულობ მსოფლიო პრესას, და ამ დღეებში ვხედავდი, თუ რაოდენ ფართო რეზონანსი გამოიწვია ცნობამ შეხვედრის მოწყობის შესახებ. ბევრი რამ ითქვა ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მისამართითაც, კითხულობდნენ, ხომ არ აჩქარდნენ ისინი, არის თუ არა ასეთი შეხვედრის საჭიროება, ვინ ვის დაუთმო, ვინ ვის აჯობა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მაგრამ, იცით რა, მეტად მნიშვნელოვანია საბაბი, რომელიც იყო ამოსავალი მომენტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი ჩვენი წინადადებისა, რომ აუცილებლად შევხვედროდით ერთმანეთს, და მისი გადაწყვეტილება პოზიტიურად გამოხმაურებოდა ამ მოწვევას.

ახლა მინდა დავუბრუნდე ყენევას, როცა ჩვენ პირველად შეხვედით ერთმანეთს. ეს იყო დიდი დიალოგი, და ახლაც, საკმაო დროის გასვლის შემდეგ, ჩვენ ასევე ვაფასებთ მას — ყენევის ამ შეხვედრას.

მაშინ, თუ გახსოვთ, ჩვენ ვაღიარეთ, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშვიდობის შენარჩუნებისათვის და ერთად განვაცხადეთ, რომ ბირთვული ომი არასოდეს არ უნდა გაჩაღდეს და რომ მასში გამარჯვებულები არ იქნებიან. ეს უდიდესი მნიშვნელობის აღიარებაა.

ჩვენ აგრეთვე განვაცხადეთ, რომ არც ერთი მხარე არ ეცდება ჩამოსდრო უწირატესობის მიღწევას. ესეც ფრიად მნიშვნელოვანი კონსტატაციაა.

ყენევის შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. საბჭოთა ხელმძღვანელობა იმ ვალდებულების ერთგული დარჩა, რომლებიც იქ იკისრა. ყენევიდან დაბრუნების შემდეგ გავაგრძელეთ მორატორიუმი: იგი მიმდინარე წლის 1 იანვრამდე იყო განსაზღვრული. უკვე 14 თვეა ჩვენს პოლიგონებზე სიმყუდროვე სუფევს, — განა ეს არ მოწმობს ჩვენს ერთგულებას ყენევის მორიგებებისადმი, ჩვენს პასუხისმგებლობას მსოფლიოს ბედისათვის? ყველა ეს ძნელი გადაწყვეტილებანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროის მანძილზე აფეთქებები ნევადაში გრძელდებოდა, ხდება ახლაც. 15 იანვარს გავაკეთეთ ფრიად მნიშვნელოვანი განცხადება, რომელშიც დასაბუთებული იყო მომდინარე საუკუნის დამლევისათვის ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამა.

მომდინარე წლის ივნისში ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებმა წამოაყენეს ვრცელი კომპლექსური პროგრამა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების მასშტაბური შემცირების შესახებ. ესეც დიდი ნაბიჯია ამ წუხილის გათვალისწინებით, რომელსაც დასავლეთევროპელები და შეერთებული შტატები გამოთქვამდნენ.

გამოვიტანეთ რა დასკვნები ჩერნობილის ტრაგედიიდანაც, წამოვაყენეთ ინიციატივა ვენაში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საგანგებო სესიის მოწყობის შესახებ. იგი გაიმართა, და თქვენ იცით მისი შედეგები — ისინი მრავლისაღმოქმედია. ახლა გვაქვს საერთაშორისო შეკანიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხოების ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი.

სხვანაირად რომ ვთქვათ, განვლილ პერიოდში — ვფიქრობ, არ ვაზვიადებ, როცა ასეთ შეფასებას ვაძლევ ჩვენს პოლიტიკას, რადგან ვლაპარაკობ ფაქტებზე, და არა მარტოოდენ ზრახვებზე. — ყოველ ღონეს ვხმარობდით, რათა ხელი შეგვეწყო ბირთვულ საუკუნეში ახალი აზროვნების ფორმირებისათვის. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ამ ახალი აზროვნების ყლორტები ღიდდება, მათ შორის ევროპის ნიადაგზეც. კერძოდ, ეს გამოვლინდა სტოკჰოლმის წარმატებით.

ალბათ, დავამთავრებ კიდეც ამით იმ კონკრეტული აქციების ჩამოთვლას, რომლებსაც ჩვენ მივმართეთ, ვხელმძღვანელობდით რა ყენევაში პრეზიდენტ რეიგანთან მორიგებების ფორმითა და შინაარსით. თვით ფაქტები, ჩემი აზრით, საშუალებას გაძლევთ შეაფასოთ ყენევის მორიგებებისადმი ჩვენი დამოკიდებულების სერიოზულობა.

მაინც, რატომ დაგვჭირდა შეხვედრა რეიკიავიკში, როგორი იყო ამ ჩვენი ინიციატივის მოტივები?

საქმე ის არის, რომ მსოფლიო ვითარებაში დიდი ცვლილებების იმედებმა, ყველას რომ გვქონდა, ყენევაში შეხვედრის შემდეგ მალე თანდათანობით მინავლება იწყო, და ვფიქრობ — არცთუ უსაფუძვლოდ. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე, რომლის დროს ძალიან ბევრი რამ ითქვა, იქნებ, მეტისმეტად ბევრიც, წამოყენებული იყო, როგორც გუშინ ვუთხარი პრეზიდენტს, ყოველგვარი წინადადებების 50-100 ვარიანტი. უკვე მარტო ეს ხდის საეჭვოს იმ დისკუსიათა ნაყოფიერებას, რომლებიც იქ მხმდინარეობს. რომ იყოს ერთი-ორი, თუნდაც სამი ვარიანტი, რაც საშუალებას მოგვცემდა როგორმე შეგვეკვეცა დისკუსიები, ძიება კი ძირითადად წარგვმართა რაღაც მნიშვნელოვანი მიმართულებებით, შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ ეს ძიებანი დამთავრდება რაიმე კონკრეტულ შეთანხმებათა მიღწევითა და მთავრობებისადმი წინადადებების შეთავაზებით... მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება ყენევაში, თუმცა იქ განიხილავენ მსოფლიო პოლიტიკის მთავარ საკითხებს.

ამ ბოლო დროს ეს მოლაპარაკება, უბრალოდ რომ ვთქვათ, უქმად წარმოებს, პრაქტიკულად ჩიხში მოექცა. გამალებული შეიარაღება არ შეჩერებულა, და სულ უფრო ნათელი ხდება, რომ საქმე უახლოვდება ისეთ ზღვარს, რომლის მიღმა გარდაუვალია ამ გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპი, რომელსაც მოჰყვება განუკვრეტელი პოლიტიკური და სამხედრო შედეგები.

ჩვენს დიდ ინიციატივებს, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ, ფართოდ გამოეხმაურა მსოფლიო საზოგადოებრიობა. მაგრამ მათ ჯეროვანი გაგებით არ მოჰკიდებია ამერიკის ადმინისტრაცია.

ვითარება გაუარესდა, მსოფლიოში საშიშროება კვლავ გიზარდა. ვფიქრობ, არ ვაზვიადებ, და თავად ხართ ამის მოწმენი — მსოფლიო ბობოჭრობს. მსოფლიო ბობოჭრობს და ყველა ქვეყნის, უწინარეს ყოვლისა დიდი სახელმწიფოების, პირველ რიგში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს პოლიტიკურ ნებას, სიმტკიცეს, რომელიც შეაჩერებს საშიშ ტენდენციებს.

ამრიგად, რაღაც ისეთი უნდა გაგვეკეთებინა, რომ გარდაგვეტეხა მოვლენათა ასეთი მსვლელობა. და ჩვენ დავასკვენით: საჭიროა ახალი იმპულსი, რათა შემოვაბრუნოთ პროცესები საჭირო მიმართულებით. ასეთი იმპულსების მიცემა შეეძლოთ მხოლოდ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს. სწორედ ამიტომ ვუპასუხე რა პრეზიდენტ რეიგანს მის 25 ივლისის წერილზე, გადავწყვიტე მომეწვია იგი დაეყოვნებლივ შეხვედრისათვის. მე ვწერდი: სიტუაცია ისეთია, რომ ყველა საქმე ერთი-ორი დღით უნდა გადავდოთ და დაუყოვნებლივ შეეხვედეთ ერთმანეთს.

ეს წერილი პრეზიდენტს ამხანაგმა შევარდნაძემ გადასცა.

და აი ახლა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრა გიამართა: ჩვენ ვვარაუდობდით, რომ მის შედეგებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. და, რა თქმა უნდა, შეხვედრაზე ხელცარიელი არ ჩამოვსულვართ.

რით ჩამოვედით რეიკიავიკში? ჩვენ ჩამოვიტანეთ **მთელი პაკეტი დიდი წინადადებებისა,** რომლებსაც, თუკი მათ მიიღებდნენ, შეეძლოთ მართლაცდა მოკლე ვადაში მოეხდინათ, მე ვიტყოდი, გარდატეხა ბირთვული იარაღის შეზღუდვისათვის ბრძოლის ყველა მიმართულებით და რეალურად აღმოეფხვრათ ბირთვული ომის საფრთხე, შესაძლებელი გაეხადათ წინსვლა უბირთვო მსოფლიოსაკენ.

მე პრეზიდენტს შევთავაზე, რომ ჩვენ აქვე, რეიკიავიკში მიგვეცა სავალდებულო დავალებები ჩვენი საგარეო სამეთა მინისტრებისა და სხვა შესაბამისი უწყებებისათვის, რათა მოემზადებინათ **შეთანხმებათა სამი პროექტი,** რომლებსაც მე და პრეზიდენტი შემდეგ ხელს მოვაწერდით ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი ვიზიტის დროს.

პირველი — სტრატეგიული იარაღის თაობაზე — შემცირება 50 პროცენტით და არა ნაკლებად: თანაც ისეთი ვარაუდით, რომ უკვე საუკუნის დამლევისათვის მთლიანად მოგვესპო ეს ყველაზე მომაკვდინებელი იარაღი. ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმით, რომ მსოფლიო ელის მართლაცდა დიდ ნაბიჯებს, დიდ შემცირებებს, და არა რაღაც კოსმეტიკურ ნაბიჯებს საზოგადოებრივი აზრის გარკვეული პერიოდით დამშვიდების მიზნით. დადგა დრო, როცა მართლაცდა საჭიროა გადედული, პასუხისმგებელი მოქმედება მთელი მსოფლიოს, მათ შორის საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა ინტერესებისათვის.

რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დელეგაციები, რომლებსაც დაევალებოდათ სტრატეგიული იარაღის შესახებ შეთანხმების პროექტის მომზადება, მოვალენი იქნებოდნენ კარგად და პატიოსნად შეეწონასწორებინათ მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურის შემცირება. საქმე ეხება სწორედ იმ ტრიადას, რომელიც აღიარებული იყო ჯერ კიდევ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების შემუშავების დროს. მაგრამ, როცა დავიწყეთ ამ საკითხის განხილვა პრეზიდენტთან, პასუხად კვლავ გადმოგვილაგეს ყველაფერი, რაც ყენევის მოლაპარაკებაზე ფიგურირებს — ყველა დონე, ქვედონე, ერთი სიტყვით, ბევრი არითმეტიკა, და ყველაფერი ეს იმისათვის, რომ საკითხის არსი გაბუნდოვნებულიყო. მაშინ შევეტანეთ ასეთი დაზუსტება: შევამციროთ სანახევროდ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ყოველი ნაწილი: მიწისზედა ბაზირების სტრატეგიული რაკეტები, სტრატეგიული რაკეტები წყალქვეშა ნავებზე და სტრატეგიული ბომბდამშენები.

ამერიკის დელეგაცია ამას დაეთანხმა. ამგვარად, მოვილაპარაკეთ ძალიან დიდ საკითხზე.

ამასთან თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ აქ სერიოზულ დათმობაზე წავედით.

თქვენც, ალბათ, გახსოვთ, რომ, როცა ყენევაში ვაყენებდით წინადადებას შემცირების 50 პროცენტის შესახებ, საშუალო რაკეტებსაც ვთვლიდით სტრატეგიულ იარაღად, ვინაიდან ისინი ჩვენს ტერიტორიას აღწევდნენ. ახლა უარი ვთქვით ამ მოთხოვნაზე, მოგხსენით მოწინააღმდეგეს ბაზირების საშუალებათა საკითხიც.

მაშ ასე, ამ დიდი დათმობის წყალობით რეიკიავიკში მიღწეულია მორიგება სტრატეგიული იარაღის შემცირების თაობაზე.

მეორე ჩვენი წინადადება საშუალო სიშორის რაკეტებს ეხებოდა. ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება, რომ დაგვეფიქსირებინა შესაბამისი უწყებებისათვის შეთანხმების მომზადება ამ ტიპის იარაღზეც, მხედველობაში გვქონდა რა უარის თქმა ყველა ვარიანტზე — შუალედურ, დროებით და სხვა ვარიანტებზე, რომლებიც დღემდე განიხილებოდა, და დავბრუნებოდით წინანდელ ამერიკულ ვარიანტს, ე. ი. მთლიანად მოგვესპო ამერიკული და საბჭოთა საშუალო რაკეტები ევროპაში. ამასთან, ჩვენი ყენევის წინადადებებისაგან განსხვავებით ახლა მთლიანად განზე ვტოვებდით საფრანგეთისა და ინგლისის ბირთვული ძალების საკითხს. ეს ბევრ ადამიანს ეკამათებოდა, ბევრ ადამიანს ეკამათებოდა, ბევრ ადამიანს ეკამათებოდა,

მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია

(დასასრული)

ლისის ბირთვულ პოტენციალს, თუმცა, თავად გესმით, რომ ეს ჩვენი მხრივ ძალიან დიდი დათმობა იყო. ეს ორი ქვეყანა ხომ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეა, მათ ბირთვული პოტენციალი აქვთ, რომელიც სულ უფრო ძლიერდება და იხვეწება. მთელ მათ სამხედრო საქმიანობას კი მჭიდრო კოორდინაცია ეწევა ნატოს ფარგლებში. ეს დანამდვილებით ვიცით. მიუხედავად ამისა შეთანხმების ეს დაბრკოლებაც მოვხსენით.

შემდეგ. იყო შეშფოთება აზიის გამო. აქაც წამოვაყენეთ კომპრომისული წინადადება: ხელად ვიწყებთ მოლაპარაკებას, ვარკვევთ პრეტენზიებს და ვპოულობთ გადაწყვეტას. გვესმოდა, რომ უსათუოდ წამოიჭრებოდა ათას კილომეტრზე ნაკლები სიშორის რაკეტების საკითხი. ამ საკითხზეც წამოვაყენეთ წინადადება: ვყიხავთ ამ რაკეტებს და ვიწყებთ მოლაპარაკებას მათი ბედის შესახებ.

აი, რა დიდი ზომების განხორციელებისათვის ვართ მზად. მე მგონი, ამერიკელები არ ელოდნენ ჩვენგან ასეთ რამეს, მაგრამ დისკუსია გაიჩაღეს, გულწრფელად განგვიცხადეს, რა არ აძლევს მათ ხელს — თავიანთი რაკეტების გატანა ევროპიდან. კვლავ შუალედური ვარიანტზე მორიგება შემოგვთავაზეს. ჩვენ კი დაჟინებით მოვთხოვდით ევროპის სრულ განთავისუფლებას საშუალო სიშორის საბჭოთა და ამერიკული რაკეტებისაგან.

ამ საკითხზე დისკუსიის დრო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ყურადღება მივაპყარით იმას, რომ იგი, მაშასადამე, ხელს იღებს თვის პირმშოზე — „ნულოვან ვარიანტზე“, რომელსაც თავის დროზე „დაბეჭითებით გვთავაზობდა. ჩვენ კი ახლა გავითვალისწინეთ მისი სურვილი.

დისკუსია გრძელდებოდა დღემდე, მწვავე დისკუსია. და ჩვენ გადავწყვიტეთ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაგვედგა: განვაცხადეთ, რომ ევროპაში ამერიკული და საბჭოთა რაკეტების ლიკვიდაციის პირობით თანახმა ვართ 100-100 ქობინი დავტოვოთ აზიაში ჩვენს საშუალო რაკეტებზე, ამერიკელებმა კი ამდენივე თავიანთი ასეთსავე რაკეტებზე ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

ბოლოს და ბოლოს, დავთქვით შევთანხმებულიყავით ამ საკითხზეც, თუმცა საერთოდ კი ჩვენი ისევ უდიდესი დათმობაა.

მაგრამ ხომ უნდა დავწყოთ მოძრაობა. მე უკვე არაერთგზის მითქვამს ეს. საჭიროა გაბედული, არასტანდარტული გადაწყვეტილებანი! თუ ჩვენ რჩევისათვის ყოველთვის წარსულს მივმართავთ, ვისარგებლებთ იმით, რაც სულ სხვა ხანას ეხება, თანაც ყურადღებას არ მივაქცევთ იმას, სად ვართ დღეს და სად ვიქნებით ხვალ, და ეს ხვალ შეიძლება საერთოდ არ გათენდეს, თუ ასე მოვიქცევით, არავითარი დიალოგი არ გამოგვივა. რაღაცით ხომ უნდა დავწყოთ? და ჩვენ დავთანხმდით ასეთ კომპრომისს, თუმცა, ვიმეორებ, ეს ჩვენთვის ადვილი არ არის. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეხვედრაზე მოვრიგდით საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციისა და შემცირების საკითხზეც.

იმის გამო, რომ მზად ვართ ბევრად შევამციროთ ბირთვული იარაღი, საკითხი დავაყენეთ ასე: რაკი ვიწყებთ კონკრეტულ ეტაპს — ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის ეტაპს, — სრული სიცხადე უნდა იყოს კონტროლის მიმართ. ახლა კონტროლი უნდა გამაკრდეს. საბჭოთა კავშირი იმხრობა სამმაგ კონტროლს, რომელიც უზრუნველყოფდა ორივე მხარის სრულ რწმენას, რომ იგი არ აღმოჩნდება ხფანგში, მახეში. ჩვენ ვადასტურებთ, რომ მზად ვართ ყოველგვარი ფორმის კონტროლისათვის. ჩვენი ასეთი პოზიციის გამო ეს საკითხიც მოიხსნა.

მეორე პრობლემა იმასთან დაკავშირებით, რომ ვიწყებთ ბირთვული იარაღის პრეტიკულ ლიკვიდაციას, — ასეთია: ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ ამ ხნის მანძილზე არც ერთი მხარე არ ეცდება მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას. ჩემი აზრით, ეს საკითხს სრულიად სამართლიანი, კანონიერი დაყენებაა — როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისითაც.

პოლიტიკური თვალსაზრისით: თუ ჩვენ ვიწყებთ შემცირებას, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ყველა მუხრუჭი, დღეს რომ მოქმედებს და ახალ სახეობათა იარაღის შექმნის გზაზე დგას, არათუ შევინარჩუნოთ, არამედ განვამტკიცოთ კიდეც.

სამხედრო თვალსაზრისით: ნამდვილად უნდა ვიზრუნოთ, ისე არ გამოვიდეს, რომ ორივე მხარემ შეამციროს ბირთვული პოტენციალი, ამასობაში კი, სანამ შემცირების პროცესი მიმდინარეობდა, მეორე მხარემ ფარულად მოამზადოს და ხელთ იგდოს ინიციატივა, მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას. ასეთი რამ შეუწყნარებელია. ამას საბჭოთა კავშირზე ვამბობ. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს ასეთივე მოთხოვნები წავუყენოთ ამერიკის მხარესაც. და ამასთან დაკავშირებითაც საკითხი ასე დავაყენეთ: როცა ვიწყებთ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული პოტენციალის რეალურ, ღრმა შემცირების, მერე კი უკვე 10 წლის შემდეგ ლიკვიდაციის ეტაპს, ამ პერიოდში არათუ არ უნდა შევარყიოთ გამალებული შეიარაღების შემაკავებელი მექანიზმები, და უწინარეს ყოვლისა ისეთი, როგორიც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაა, არამედ განვამტკიცოთ იგი.

და ჩვენი წინადადება გულისხმობდა შემდეგს: ჩვენ განვამტკიცებთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის უვადო ხელშეკრულებას იმ გზით, რომ მხარეები კისრულობენ ერთნაირ ვალდებულებებს — უახლოესი ათი წლის განმავლობაში ისინი არ ისარგებლებენ ამ ხელშეკრულებიდან გამოსვლის უფლებით.

საკითხის სწორი, ლოგიკური დაყენებაა? ლოგიკურია. საკითხის სერიოზული დაყენებაა? სერიოზულია.

შეესაბამება ორივე მხარის ინტერესებს? შეესაბამება ორივე მხარის ინტერესებს.

და ამავე დროს, ამით ჩვენ მხარი დავუჭირეთ იმას, რომ ამ ათი წლის განმავლობაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ყველა მოთხოვნა მკაცრად ყოფილიყო დაცული, აკრძალულიყო კოსმოსური იარაღის შემუშავება, გამოცდები ნებადართული დარჩენილიყო მხოლოდ გამოკვლევები, გამოცდები ლაბორატორიების ფარგლებში.

რა გვინდოდა ამით გვეთქვა?

ჩვენ ვიცით, რომ ამერიკის ადმინისტრაცია, პრეზიდენტი ერთგულობენ სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას. ალბათ, ის, რომ ჩვენ დავთანხმდით ლაბორატორიული გამოცდების გაგრძელებას, და შესაძლებლობას, პრეზიდენტს საშუალება აძლევს ბოლომდე მიიყვანოს გამოკვლევები და გაარკვიოს, რა არის და რის მაქნისია სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა. თუმცა ბევრისათვის და ჩვენთვისაც, უკვე ცხადია, რა არის ეს.

და აი, სწორედ აქ დაიწყო მსოფლიო პოლიტიკისადმი ორი მიდგომის ნამდვილი შეტაკება, მათ შორის ისეთ საკითხებში, როგორიც არის გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ბირთვული იარაღის აკრძალვა.

ამერიკის ადმინისტრაცია, პრეზიდენტი ბოლომდე დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ამერიკას ჭქონდეს ეტაპს — ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის ეტაპს, — სრული სიცხადე უნდა იყოს კონტროლის მიმართ. ახლა კონტროლი უნდა გამაკრდეს. საბჭოთა კავშირი იმხრობა სამმაგ კონტროლს, რომელიც უზრუნველყოფდა ორივე მხარის სრულ რწმენას, რომ იგი არ აღმოჩნდება ხფანგში, მახეში. ჩვენ ვადასტურებთ, რომ მზად ვართ ყოველგვარი ფორმის კონტროლისათვის. ჩვენი ასეთი პოზიციის გამო ეს საკითხიც მოიხსნა.

ამ ეტაპზე, ეს ორი ეტაპი ერთმანეთს ეხება, ეს ორი ეტაპი ერთმანეთს ეხება, ეს ორი ეტაპი ერთმანეთს ეხება

კომკავშირული ძალების დათვალიერება

ბოგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის, ისე საქართველოს ქალიშვილებისა და ჭაბუკების ცხოვრებაში ახალი პასუხსაგები ხანა დადგა — მიმდინარეობს კომკავშირული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები. ამჯერად ეს კამპანია ყველა რგოლში უნდა გაიმართოს — კომკავშირული ჯგუფებითა და საამქრო ორგანიზაციებით დაწყებული და მოკავშირე რესპუბლიკების ყრილობებით დამთავრებული, ხოლო საკავშირო ალკკ XX ყრილობა 1987 წლის 15 აპრილს გაიხსნება ქალაქ მოსკოვში.

მაშ, ასე: მიმდინარეობს ქვეყნის კომკავშირული ძალების დიდი საბრძოლო დათვალიერება. ახალგაზრდული გულით, მარჯვენითა და ეონებით შექმნილ-გაკეთებულის, ნაფიქრალ-ნაღვაწის კოლექტიური, მომთხოვნი შეჯამება და შეფასება.

ანგარიშგება-არჩევნები ხომ ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ ახლანდელი მაინც განსაკუთრებულია. იგი პირველად იმართება ჩვენი პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ და თითოეულმა კომკავშირელმა დღეს სწორედ პარტიული ყრილობის მოთხოვნათა პრიზმით უნდა განიხილოს თავისი საქმეები, დიდი პასუხისმგებლობით გაიაზროს, შეაფასოს, რამდენად შეუსაბამება თავისი ორგანიზაციის ცხოვრება და მოქმედება იმ სიტყვებს, ყრილობაზე რომ წარმოთქვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში: „მ0-იანი წლების ახალგაზრდები გამოირჩევიან ფართო თვალსაწიერით, განათლებით, ენერგიით. ისინი, მე ვიტყოდი, დამუხტული არიან სამოქმედოდ, ეძებენ შესაძლებლობებს გამოავლინონ თავი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. კომკავშირმაც ყოველმხრივ უნდა დაუჭიროს მხარი ამ მისწრაფებას ყველგან — სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, ცოდნისა და კულტურის დაუფლებაში, პოლიტიკურ ცხოვრებასა და სამშობლოს დაცვაში".

რა თქმა უნდა, სწორედ ამ სამოქმედო პროგრამის განხორციელებისათვის ზრუნვით მიეა საქართველოს კომკავშირი თავის მორიგ XXXIII ყრილობაზე, რომელიც გაისად 6-7 მარტს გაიმართება, სწორედ პარტიის მიერ დასახული დიდი გარდაქმნების კურსის მიხედვით განხილავენ თავიანთ შინაარსიან და ნარმეტ საქმეებს დღეს რესპუბლიკის კომკავშირელები პირველადი და საამქრო ორგანიზაციების, ჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომლებიც საერთოდ კარგი ორგანიზებულობით, შინაარსიანობით, საქმიანი განწყობილებით გამოირჩევა.

დაინტერესებული, კრიტიკული და თვითკრიტიკული სჯა-ბაასის მთავარი თემაა როგორც კომკავშირულ ორგანიზაციებში, ისე მთლიანად შმობლიურ კოლექტივებში — ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მომსახურების ობიექტებზე თუ საშეფიერო დაწესებულებებში — გარდაქმნების განხორციელება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში მათი მონაწილეობის გზრდა. ახალგაზრდები გაბედულად მოითხოვენ ყოველივე ყალბასულის, დაშტამპულის, უინიციატივო და უფერგილო მუშაობის უარყოფას, მათს გამოსვლებში ჩანს ახალგაზრდული შემართება, მიღწეული დაუკმაყოფილებლობის მოუსვენარი ბუნება.

თავიანთი ამოცანების ღრმა გაგებით, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საანგარიშო-საარჩევნო კრებების გამართვას თბილისის ფაბრიკა „ამირანის" მესამე საამქროს მეორე ავრეგატის, ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროსამმართველოს ახალი დარკვეთის უბნის, გორის რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის მებაღეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის, რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის საწნეხი საამქროს, ფოთის № 1 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს, კომკავშირული ორგანიზაციების, ჯავის რაიონის კვაისის მაღაროსამმართველოს და სხვა კომკავშირული ჯგუფების წევრები, რომელთაც პრინციპული, გულახდილი სჯა-ბაასის შემდეგ ბევრი საყურადღებო პირობაც დათქვეს, იკისრეს გაბედული ვალდებულებები მიმდინარე წლის — მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადაზე ბევრად ადრე შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შემოქმედებითად გადაწყვეტისათვის.

თბილისგვირაბმშენის № 32 საგვირაბო რაზმის კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ყველა დამსწრე ერთსულოვნად გამოვიდა ინიციატივით — ხუთწლედის მთელი დავალება ოთხ წელიწადში შესასრულონ და ვადაზედ გადასცენ საექსპლოატაციოდ მეტროპოლიტენის საბურთალოს ხაზის ბოლო უბანი. დუშეთის სასათბურე კომბინატის კომკავშირელებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს პირადი წლიური გეგმები 15 ნოემბრისათვის შეასრულონ. საერთოდ კი, როგორც ეს, ისე სხვა ბევრი კომკავშირული საანგარიშო-საარჩევნო კრება იმიტომაც წარიმართა საქმიანი ბჭობის, ობიექტურობის, მომთხოვნელი, ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში, რომ მონაწილეობდნენ პარტიული ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ისინი ახალგაზრდებთან ერთად განხილავდნენ პრობლემებს, ბევრ რამეს ოპერატიულადაც წყვეტდნენ.

არადა, სწორედ პარტიული ორგანიზაციების მხრივ დახმარება და ხელმძღვანელობაა ყოველი კომკავშირული ორგანოს ბრძოლისუნარიანობის გაზრდის საფუძველი. სამწუხაროდ, ეს ყველგან ასე რდია. მაგალითად, ზუგდიდის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ზეინკალთა ბრიგადის კომკავშირული ჯგუფის კრებაზე პირდაპირ თქვა, რომ საწარმოს პირველადი პარტიული ორგანიზაცია საჭირო ყურადღებას არ იჩენს კომკავშირლებისა და ახალგაზრდების ინიციატივებისა და საინტერესო წინადადებებისადმი, მათი პრაქტიკული განხორციელებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება მარნეულის საქალაქო და ცაგერის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაზრდის შესახებ". მიაპყრო რა პარტიის მარნეულის საქალაქო და ცაგერის რაიონული კომიტეტების ყურადღება იმას, რომ ისინი კომკავშირისადმი ხელმძღვანელობაში იჩენენ ზერელობას, სათანადოდ არ მოკითხავენ ამ მხრივ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რის გამოც ხშირად კომკავშირის კომიტეტები, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები, დუნედ, უინიციატივოდ მუშაობენ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკის კომპარტიის საოლქო, ქალაქო, რაიონულ კომიტეტებს გადაჭრით გააუმჯობესონ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა, მიაღწიონ, რომ გაიზარდოს ახალგაზრდობის როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ინტენსიფიკაციის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა სადღეისო, დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებაში.

გადაუდებლად საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციები დაეხმარონ კომკავშირულ ორგანიზაციებს მთელი რიგი ახალგაზრდული პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც ეხება მათი შრომის, ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ახალგაზრდულ პრობლემებს თავი არ უნდა აარიდონ იმ პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმაც, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს.

სწორედ პარტიული ორგანიზაციების მხრივ ყურადღების შენელების შედეგიც არის, რომ ამ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისას მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციებისა და ჯგუფების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. მათ შორისაა გულრიფშის ხის დამამუშავებელი კომბინატის № 2 საამქროს, ცხინვალის „მინანქარსადენის" ქარხნის მომმინანქრებელი საამქროს, ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის" სამკერალო საამქროს „ა" ცვლის, ქუთაისის ავტოქარხნის ამურებ-მექანიკური წარმოების ავტომატების საამქროს გამწყვე-დამამზადებელი უბნის, საგარეჯოს რაიონის ლამპალოს საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა კომკავშირული ჯგუფები, წყალტუბოს რაიონის გვიმტიბის საშუალო სკოლის, დმანისის რაიონის № 48 მოძრავ-მექანიზებული კოლონის, სიღნაღის რაიგაზის კანტორის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები და კიდევ ზოგიერთი სხვა კომკავშირული ჯგუფები, საამქრო და პირველადი ორგანიზაციები.

ეს ფაქტები მეტად სამწუხაროა, მაგრამ ამასთანავე იმის მაჩვენებელიც არის, რომ კომკავშირელები მომკითხველად მიუდგნენ თავიანთი არჩევითი ორგანოების მუშაობის შეფასებას, რომ საბავენ ახალ საანგარიშო პერიოდში უკეთ, მებრძოლურად მუშაობის ნინადადებებს.

რა თქმა უნდა, ანგარიშგება-არჩევნები ჯერ ნინ არის. მაგრამ დღემდე გამართული კრებების ანალიზი იმასაც მოწმობს, რომ ისინი ზოგან ძალიან უფერულად, მშრალად, ახალგაზრდული ბუნებისათვის უცხო განწყობილებით, გასაოცარი დანაშაულებრივი სიმშვიდით ნარიმართა. ამის ნათელი მაგალითია საჩხერის რაიონული პოლიკლინიკის კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელზეც არ გამოთქმულა არც ერთი კრიტიკული შენიშვნა, რაიმე საყურადღებო წინადადება, თუმცა ამ საკაკურნალო დაწესებულებაში ცოტა ნაკლი რდია.

ცუდად მოემზადნენ ანგარიშგება-არჩევნებისათვის მარნეულის მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში. ასევე სწორედ მოუმზადებლობის, ამ პასუხსაგებ საქმეში უპასუხისმგებლობის გამო მოხდა, რომ მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის კომკავშირელები კრებაზე არ მოვიდნენ და იგი მეორე დღისათვის გადაიდო.

დასამალი რდია, რომ ზოგ კომკავშირულ ორგანიზაციაში ,ვერა და ვერ აღიკვეთა ფორმალიზმი, მოჩვენებითობა, ის მავნე სენი, რომელსაც ორგანიზაციული ფაციფუცს ვუწოდებთ, როცა, როგორც იტყვიან, ტკაცატკუცი ბევრია, ცვლილი კი არსად ჩანს. კომკავშირულ მუშაკთა ერთი ნაწილი ისე მიეჩვია კაბინეტებში ჯდომას, ქაღალდმთხზველობას, რომ ათასნაირი ცნობების, დიაგრამების, ზოგადი ლოზუნგებით გაჭედილი მოხსენებითი ბარათების შედგენაზე ათენებს და აღამებს და ამასვე მოითხოვს სხვა მუშაკებისგანაც. მათ დრო აღარ რჩებათ ცოცხალი მუშაობისათვის. ძალიან კრიტიკულად, გულმდგინედ და დიდი დაკვირვებით უნდა შეფასდეს კომკავშირული კომიტეტების, ბიუროების, მდივნებისა და წევრთა მუშაობის სტილი, მეთოდები, ის უნარი, თუ როგორ ხელმძღვანელობენ ისინი კომკავშირულ ორგანიზაციებში გარდაქმნას.

ამიტომ მთავარია პარტიულმა ორგანიზაციებმა კომკავშირის კომიტეტებთან ერთად იზრუნონ იმისათვის, რომ თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციას, ყოველ კომკავშირულ ბიუროს და კომიტეტს სათავეში ედგას ინიციატივანი, ენერგიული ქალიშვილი თუ ჭაბუკი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კომკავშირულ ორგანიზაციათა მეთაურებად ახალგაზრდა კომუნისტების დანიშვნებას, რომლებიც გამოირჩევიან ახლის გრძნობით, გერგილიანობით, პოლიტიკური სიმწიფით.

უნდა ვიჩქაროთ ახალარჩეული კომკავშირული აქტივის ყოველნაირად დახმარებისათვის, მათი დროული სწავლებისა და ინსტრუქტაჟისათვის, რათა სწორად და საქმიანად განახორციელონ ახალგაზრდობის წინამძღოლების საპატიო და პასუხსაგები მოვალეობანი.

მთელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, მთელი მზადება საკავშირო და ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ყრილობებისათვის ისე და იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ კიდევ უფრო აქტიურად დაირაზმონ ქალიშვილები და ჭაბუკები ჩვენი პარტიის, ჩვენი ქვეყნის საქმეებში თავიანთი სახასელო ნვლილის შესატანად.

ПАРТИЙНАЯ ЖИЗНЬ:

МОЛОДЫЕ ЛЕНИНСКИЕ ОТЧЕТЫ-ВЫБОРЫ

ТИТОМДЗИ ყველა კომუნისტი გამოვიდა კრებაზე. ყველამ თქვა თავისი აზრი, თავისი გულისტკივილი. და ეს პირადული რიგი იყო. კომუნისტებს აწუხებთ ის, რომ ისინი ისევ და ისევ ძველ გარემოცვაში არიან. საწარმოში, რომელიც ამ ტიპისა ერთადერთია საქართველოში, გარდატეხის ნიშანწყალი არ იგრძნობა. მთელი ქვეყანა ახლებურ სუნთქვას მოუცავს, აქ კი არ ფიქრობენ ფენი აუწყონ ცხოვრების რიტმს.

ვერავინ იტყვის, რომ წნელისის „საქტალკის" საწარმოს კომუნისტებს აკლდეთ შემართება და არ ჭქონდეთ მოწონებულობისადმი მისწრაფება. ეს ძირითადად რიგით კომუნისტებზე ითქმის, რომლებიც მაღაროში და საფქვავ საამქროში ოფლს ღვრიან, გეგმების შესასრულებლად იღვწიან, რათა ქვეყანამ მიიღოს მეტად საჭირო პროდუქცია — მაღალხარისხოვანი ტალკი. ეს მონდომება საფქვავი საამქროს პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც იგრძნობოდა. პარტჯგუფორგის ბ. კულემბეგოვის საანგარიშო მოხსენებაც თვითკრიტიკული იყო. თავიანთი კოლექტივის უზეერო მუშაობაზე კომუნისტებს წინათაც გამოუთქვამთ წუხილი. და ახლა, როცა პარტიამ მიზნად დასახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პროგრამა, წნელისელები არა სათანადო ხელმძღვანელობის გამო ფეხს ვერ უწყობენ საერთო წინსვლას. რა უშლით ხელს? საქმის თვითდინებით სვლა, ზოგი მუშაკის გულგრილობა, ინერტულობა, შედეგი კი ასეთია: საწარმომ გასული წლის დავალება მნიშვნელოვანი კორექტირების შემდეგ ძლივძლივობით შეასრულა. ასევეა წელსაც — ხან მექანიზმები გამოდის მწყობრიდან, ხან სამთო საამქროდან ტალკის დამფქველები დროულად ვერ იღებენ ნედლეულს... ასე უხალისოდ გადის დღეები. უკმაყოფილონი არიან მშრომელები.

პარტჯგუფის კრებზე გულისტკივილით თქვა, რომ ჯერ კიდევ ცხრა წლის წინათ დაწყებული საწარმოს რეკონსტრუქცია დღემდე ჭიანურდება. ამ ხნის მანძილზე ხელიდან ხელში გადადის რეკონსტრუქციის საქმე და მას თავი ვერავინ მოაბა. აქამდე იგი დავალებული ჰქონდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მეცხრე ტრესტს, წლეულს კი გადაეცა მეთერთმეტე ტრესტს, რომელმაც თავისი მისია ჯერჯერობით ითქმა ამოწურა, რომ 30-ტონიანი ამწე დაამონტაჟა. მას შემდეგ ბევრჯერ შეაწუხეს წნელისის საწარმოსა და ზნაურის რაიონის ხელმძღვანელებმა ტრესტის მესვეურები, მაგრამ მათ საამისოდ ვერ მოიცალეს.

ორი ახალი წისქვილი კი, იმის გამო, რომ არა აქვთ ადგილი, სად დაამონტაჟონ, ერთი აგარის ბაზაში ელოდება პატრონს, მეორე — თვით საწარმოს ეზოში.

არსებული წისქვილები კარგა ხანია მოძველდა. მათი მწარმოებლობა მცირეა. ვერ შოულობენ სათადარიგო ნაწილებს, რადგან ტექნოლოგიურად, მორალურად გაცვეთილი ტექნიკის სათადარიგო ნაწილები დიდი ხანია ძაღრ გამოდის. „წნელისელები მანქანა-დანადგარების მცირე დაზიანების შემთხვევაშიც — მთელ კვირას ცდებიან.

დიახ, კომუნისტები გულახდილად, დაუფარავად ლაპარაკობდნენ თავიანთ გასაჭირზე. ითქვა, რომ საწარმოში შექმნილი არ არის მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების ნორმალური პირობები. არავინ ზრუნავს სასადილოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის. აქ არ მოაქვთ რძის პროდუქტები, ხილბოსტნეული. მაღაროელთა მაღაზიაში ხშირად პირველი მოხმარების საქონელიც არ არის და აქაურებს პურის, მარილის, ნავთის შესაძენად მეზობელ ქარელის რაიონში ან ცხინვალში უნდებათ წასვლა.

არც საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ მომსახურებაზე შეიძლება კარგის თქმა. კლუბში ჩამკვდარია თვითმოქმედება, მისი კარი იშვიათად იღება, ასევე იშვიათად უჩვენებენ კინოსურათებს. უყურადღებოდ არის მიტოვებული ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, არა აქვთ სპორტული მოედანი.

კომუნისტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამოც, რომ მათ ცუდად ემსახურება ავტოტრანსპორტი. მუშები ძირითადად ახლო სოფლებიდან არიან და ფეხით უხდებათ სიარული. უტრანსპორტობის გამო ბავშვებსაც ხშირად აგვიანდებათ სკოლაში. ზნაურლოპასოს ავტობუსი ხან გამოჩნდება, ხან არა. მუშებმა კატეგორიულად მოითხოვეს — ან რეგულარულად იაროს ამ მარშრუტის ავტობუსმა, ან არადა, საწარმოს ხელმძღვანელებმა გამოყონ სასამსახურო ავტობუსი.

კრებაზე გამოითქვა საერთო აზრი, რომ საწარმოში ნაკლებად [illegible] ზრუნავენ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული [illegible] მეთოდების დანერგვისათვის, ტექნიკის უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის დაცვისათვის, წარმოების კულტურისათვის. ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. აქ შემოღებულია სხვის მაგივრად მუშაობა, სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენა, დაგვიანებით მოსვლა და ადრე წასვლა. ზოგიერთები სპირტიან სასმელებსაც ეტანებიან.

ყოველივე ეს კარგად კი ჩამოკაკლეს კრებაზე წნელისელმა კომუნისტებმა, მაგრამ თვითონ რა ვაკეთეთ, რათა აღკვეთილიყო უდისციპლინობა, რათა მხარში ამოსდგომოდნენ ადმინისტრაციას მუშაობის გარდასაქმნელად? არაფერი. აქ არწყენინებს ატმოსფეროა შექმნილი და მისი გაჯანსაღებისათვის კონკრეტულად ცოტა რამ თუ კეთდება.

კრებაზე გამართული სჯა-ბაასიდან ცხადი გახდა, რომ პარტიული ჯგუფი საანგარიშო პერიოდში სათანადოდ ვერ წარმართავდა ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას. აქ ცოტას ფიქრობდნენ კომუნისტების ავანგარდული როლის ზრდისათვის, პარტიული გავლენის გაძლიერებისათვის.

დროა გარდაქმნის, გარდატეხის ნათელი სხივი შეიჭრას წნელისის „საქტალკის" საწარმოოს კოლექტივშიც, რომელიც კომუ-

ნისტების ზრნაძალობით უნდა დაძლიოს ჩამორჩენა, აამოქმედოს რეზერვები. აქ დროულად და [illegible] ... ეფექტიანი [illegible] ... ეკონომიკური [illegible] ... ეფექტიანი [illegible] ... ეფექტური [illegible] ... ეფექტიანი [illegible] ... ეფექტური [illegible] ... ეფექტიანი [illegible] ... ეფექტ

პანორამა

ფაქტები • მოვლენები

◆ ავღანეთი

მეგობრობის სალამო

ქაბული. ქაბულში გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის სალამო, რომელიც მიეძღვნა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფი შეზღუდული საბჭოთა სამხედრო კონტინგენტის შემადგენლობიდან ექვსი პოლკის სამშობლოში დაბრუნებას. საღამოს დაესწრნენ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნებებისა და ტომების საქმეთა მინისტრი სულეიმან ლაიკი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები, საბჭოთა ინტერნაციონალისტი მეომრები, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მიმართა რა შეკრებილთ, ავღანეთის არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა, გენერალ-მაიორმა ზ. ზიარმალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავისუფალი და დემოკრატიული ავღანეთის მოქალაქეთა არც ახლანდელი, არც მომავალი თაობები არ დაივიწყებენ იმ ათასობით, ვინც მათ დაეხმარა იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკებისაგან დაეცვათ აპრილის რევოლუციის მონაპოვრები.

შემდეგ ავღანელმა პოეტებმა, აგრეთვე ავღანეთში მოსამსახურე საბჭოთა სამხედროების შემადგენლობაში მყოფმა პოეტებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები, რომლებსაც მხურვალედ შეხვდნენ შეკრებილნი.

ვაშინგტონი. თვალსაჩინო ამერიკელმა სენატორმა უილიამ პროქსმაირმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს მოუწოდა ყველაფერი იღონოს კოსმოსურ სივრცეში გამალებული ბირთვული შეიარაღების გავრცელების შეწყვეტის, ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისათვის.

დღეს მსოფლიოში არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება, შეიარაღების შეზღუდვა, განაცხადა მან ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ზედა პალატის სხდომაზე. აღნიშნა რა, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები იყო მუდამ გამალებული მომაკვდინებელ სახეობათა შეიარაღების ინიციატორი, უ. პროქსმაირმა თქვა, რომ „მასში ვერავინ ვერ გაიმარჯვებს“.

ახლა ჩვენი ქვეყანა დაადგა რაკეტული თავდაცვის სტრატეგიული სისტემის — „ვარსკვლავთის ომების“ პროგრამის შექმნის გზას, — აღნიშნა სენატორმა. — მაგრამ მის ხელმძღვანელთა შორისაც კი არსებობს აზრი, რომ ასეთი სისტემა არ გამოდგება, მაგრამ მთავარი ეს როდია. ეს პროგრამა მოასწავებს დაჩქარებული გამალებული შეიარაღების დაწყებას“.

სან-ფრანცისკო. პლანეტისათვის მოღერებული დამოკლეს მახვილი უწოდა ვაშინგტონის ყბადაღებულ „სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას“ ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა სტრატეგიული შეიარაღების დარგში, პროფესორმა რიჩარდ გარვინმა. „ეს ტეროროისტული დოქტრინა“, განაცხადა მან აქ მომდინარე ვაშინგტონის მიერ დაწყებული „ვარსკვლავეთის ომებისათვის“ მზადების საშიში შედეგების განხილვისადმი მიძღვნილ წარმომადგენლობითს სამეცნიერო კონფერენციაზე, „აკაცობრიობას გადაკვეთს ბირთვული ნგრევის მძვენელად“. კონფერენციის მონაწილეებმა თქვეს, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ფარგლებში სამუშაოთა დაჩქარება ძირს უთხრის სამეცნიერო კვლევის პროგრამას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დღევანდელობის მნიშვნელოვანი საკითხი

სენატორი პროქსმაირი გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ

ართულებს საერთაშორისო ვითარებას

სან-ფრანცისკო. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“ ართულებს საერთაშორისო ვითარებას, სერიოზულ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. ასეთი დასკვნა გამოიტანეს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებმა, რომელიც ქალაქ ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის განყოფილებაში მიმდინარეობდა.

სამი დღის დისკუსიის დროს მრავალმა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა, პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოსმოსში გამალებული ბირთვული შეიარაღების თავიდან აცილების ამოცანამ ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

კონფერენციაზე გამოსვლათა უმრავლესობას წითელ ზოლად გასდევდა აზრი შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში დამთავრდა კონფერენცია სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის შესახებ

პროგრესის დაჩქარების გზების ძიების საკითხების შესახებ. „ბირთვული საფრთხის თავიდან აცილების ყველაზე რეალური და სწრაფი გზა, — აღნიშნა კონგრესმენმა ჯორჯ ბრაუნმა, — არის არა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს პრეზიდენტი რეიგანი, არამედ ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვა, რისთვისაც საბჭოთა კავშირი მოგვიწოდებს“.

„თეორი სახლის მიერ მომზადებული ბირთვულ-კოსმოსური ავანტიურების ერთადერთი გონივრული ალტერნატივა, — ხაზგასმით აღნიშნა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა კალიფორნიის უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორმა ჯონ ჰოლდრენმა, — შეიძლება გახდეს მხოლოდ საბჭოთა „ვარსკვლავთის მშვიდობის“ პროგრამა და კოსმოსის ერთობლივი ათვისება სამოქალაქო მიზნებით“. „კოსმოსურ ორბიტებზე მეტოქეობის გამწვავებას, — განაგრძო მისი აზრი პროფესორმა ჯერი სანდერსმა, — შეიძლება მოჰყვეს პლანეტის ბუნებრივი რესურსების გამოლევა, გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება“.

ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციისა და „სოციალური პასუხისმგებლობის მომხრე ექიმთა“ ორგანიზაციის ინიციატივით მოწყობილ კონფერენციაზე მოისმინეს აგრეთვე სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის მთელი რიგი მომხრეების, კერძოდ, სამხედრო ლაბორატორიებისა და ცენტრების თანამშრომელთა გამოსვლები. მაგრამ სამეცნიერო ფორუმმა ნათლად ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცნიერების წარმომადგენელთა უმრავლესობა სხვა აზრისაა, არჩევანს მშვიდობის სასარგებლოდ ახდენს.

● სალვადორი

მიწისძვრის შედეგები

ჰავანა. სალვადორიდან მიღებული ცნობების თანახმად, ქვეყნის დედაქალაქ სან-სალვადორში ძლავ რთული ვითარებაა, რაც გამოწვეულია მომხდარი მიწისძვრის ძმიე შედეგებით. რიხტერის სკალით 7 बალზე მეტი ძალის მიწისქვეშა ბიძგების რამდენიმე სერიის შედეგად ქალაქში შენობათა მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა ან დაზიანდა. განსაკუთრებით ძლიერ დაზიანდა სან-სალვადორის ლარიბთა უბნები.

ზოგიერთი მონაცემის თანახმად, სან-სალვადორში დაიღუპა 400-დან ათას ხუთასამდე კაცი. მოხალისეთა ბრიგადები წმენდენ ჩამონგრეულებს, შენობათა ნანგრევებიდან ამოჰყავთ გადარჩენილები და ამოაქვთ დაღუპულთა გვამები.

ექიმები იძულებული არიან დამავებულებს დახმარება გაუწიონ პირდაპირ ქუჩებში, რადგან ქალაქის საავადმყოფოების მეტი ნაწილი დანგრეულია ან ავარიულ მდგომარეობაშია. კვლავინდებურად შეწყვეტილია გარე სამყაროსთან ქალაქის ტელექსისა და ტელეფონის კავშირი. სან-სალვადორში, რომლის მოსახლეობა დაახლოებით მილიონს შეადგენს, ქუჩებს პატრულობენ სამხედროთა და პოლიციელთა ქვეგანაყოფები.

ქვეყანაში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით სალვადორის პატრიოტულმა ორგანიზაციებმა გამოაცხადეს, რომ ცალმხრივად წყვეტენ საომარ მოქმედებას. ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტისა და რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია იმის სამიშროება, რომ მმართველ რეჟიმს მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფის საბაბით შეუძლია ამერიკის შეერთებულ შტატებს სთხოვოს სალვადორში ჯარების შემოყვანა.

● ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲘ

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. სალვადორიდან მიღებული ცნობების თანახმად, ქვეყნის დედაქალაქ სან-სალვადორში ᲙᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲐ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲛᲬᲘᲤᲔᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲜᲝᲑᲗᲐᲗᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲒᲠᲘᲚᲐ ᲐᲜ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲗᲐᲜ.

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲒᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲗᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲒᲠᲘᲚᲘᲐ ᲐᲜ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲘᲡ